№ 06/08-855
„26“ 07 2012

შპს „იონფაშ ჯორჯიას“ დირექტორს
ბ-ნ მერთ იუმუშაქერს

ბატონო მერთ,

გაცნობებთ, რომ 2012 წლის 29 ივნისს ჩვენს ორგანიზაციებს შორის გაფორმებული №12/ა ხელშეკრულების შესაბამისად თბილისში, სოფ. დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.72.14.034.026) დასრულა არქეოლოგიური სამუშაოები.

გიგზავნით ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის ანგარიშს და სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტებს.

პატივისცემით,

დავით გოგელია
არქეოლოგიის ცენტრის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3
თბილისი 0105
ტელეფონი 99 80 22
ფაქსი 98 21 33

info@museum.ge
www.museum.ge

3, Rustaveli Avenue
0105 Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 99 80 22
Fax: +995 32 98 21 33

KA070176095035812

საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა
დაცვის სამინისტრო

Ministry of Culture
and Monument Protection of
Georgia

0105. ქ.თბილისი. სანაპიროს ქ. N4. ტელ:2 987 430, 2 932 255; ფაქსი: (+99532) 2 999 966
4 Sanapiro str. Tbilisi 0105. Georgia. Fax: (+99532) 2 999 966 Phone: 2 987 430, 2 932 255

www.mcs.gov.ge E-mail: info@mcs.ge

N02/08 -551

15 / აგვისტო / 2012 წ.

შპს 'იონფაშ ჯორჯია'-ს
მის: გურამიშვილის #64
ტელ: 2 601 000

ბატონო იუმუშაქერ,

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი განცხადება (#862 30.07.2012) თანდართულ დოკუმენტაციასთან (არქეოლოგიური კვლევის ანგარიში #12/ა 26.07.2012) ერთად, რომელიც ეხება "თრელიგორა პირველზე" მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.72.14.034.026) წარმოებულ სავალე- არქეოლოგიურ კვლევებთან დაკავშირებულ საკითხს. როგორც წარმოდგენილი ანგარიშიდან ჩანს ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლინდა და შესწავლილ იქნა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნასახლარების ნაშთები, კერძოდ საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა კედლების ფრაგმენტები, რომელიც თარიღდება ძვ.წ. მერვე-მეექვსე საუკუნეებით. ნაგებობებთან ერთად იმავე "კულტურულ ფენაში" აღმოჩნდა: თიხის; ქვის; ბრინჯაოს; რკინისა და რქისგან დამზადებული, სხვადასხვა დანიშნულების ნივთები. გვინდა აქვე გაცნობოთ, რომ ამ აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ქალაქ თბილისისა და მისი შემოგარენის უძველესი ისტორიის შემსწავლელი სპეციალისტებისათვის, ასევე ზოგადად ძველი ცივილიზაციით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის თქვენ საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე, თუ დაიგეგმება საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობის მშენებლობა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შენობის "ინტერიერში" შეირჩეს მცირე ზომის ფართი, სადაც გამოიფინება საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელებული, სავალე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების, ასევე "კამერალური" სამუშაოების შედეგად შესრულებული ფოტო და გრაფიკული მასალა, მოპოვებულ "არტეფაქტებთან" ერთად. ამგვარი ქმედებით ხელს შევუწყობთ ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მდებარე მდიდარი და უაღრესად საინტერესო არქეოლოგიური მემკვიდრეობის პოპულარიზაციას.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობის
შემსრულებელი — გიორგი ყიფიანი

58
15.08.2012წ

მიღება-ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ. თბილისი

26 ივლისი 2012 წ.

შპს "იონფაშ ჯორჯია" წარმოდგენილი მისი დირექტორის მერთ იუმუშაქერის სახით, ერთის მხრივ "დამკვეთი", ხოლო მეორეს მხრივ, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი წარმოდგენილი არქეოლოგიის ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის დავით გოგელიას სახით, "შემსრულებელი" ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ შპს "იონფაშ ჯორჯიასა" და სსიპ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის 2012 წლის 29 ივნისს გაფორმებული №12/ა ხელშეკრულების შესაბამისად თბილისში, სოფ. დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.72.14.034.026) ჩატარებულია არქეოლოგიური სამუშაო. ანგარიში ჩაბარდა დამკვეთს.

სამუშაოთა ღირებულებამ შეადგინა 18,092.23 (თვრამეტი ათას ოთხმოცდათორმეტი ლარი და ოცდასამი თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

დამკვეთი:

შპს "იონფაშ ჯორჯია"
დირექტორი
მერთ იუმუშაქერი

შემსრულებელი:

სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი
არქეოლოგიის ცენტრის უფროსის მ/შ
დავით გოგელია